



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31203661

თარიღი:31/12/2020

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N19

ქ. ლანჩხუთი

25. 12. 2020 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

**მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს და სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ვერიკო კვიციანი/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ია ჩხაიძე/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ამირან გიგინეიშვილი/*

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშის მოსმენა.

*/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/*

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/*

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/*

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან განმარტა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დასუფთავებას და გარემოს დაცვას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პროგრამებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების

ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:  $\emptyset$  ინფრასტრუქტურის განვითარება;  $\emptyset$  განათლება;  $\emptyset$  კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;  $\emptyset$  მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.  $\emptyset$  მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, რომლის მიხედვითაც მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

სოციალური დაცვის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პრიორიტეტი, რომლითაც ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ - ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის დაფინანსებას.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **აკაკი იმნაიშვილი**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N59 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან განმარტა, რომ განმარტა, რომ ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრება 11,013.3 ათასი ლარით, მათ შორის გადასახადები განისაზღვრება 9,020.3 ათასი ლარით, გრანტები განისაზღვრა 220.0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები განისაზღვრება 1,773.0 ათასი ლარით, ხარჯები განისაზღვრება 11,415.8 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრება 1050,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1050,5 ათასი ლარით, ბიუჯეტის მთლიანი სალდო უნდა განისაზღვროს 1453,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 402,5 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრება 1511,1 ათასი ლარით, ხოლო ფინანსური აქტივების კლება 1511.1 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2021 წლის განმავლობაში. მან იქვე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 58,1 ათასი

ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესიო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 439,5 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 381.4 ათასი ლარი.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე **გოგი მორჩილაძე**.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრება 1656,4 ათასი ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრება 1,291.4 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრება 2,454.4 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრება 826 ათასი ლარი, 2021 წლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცემა მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები; წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2021 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 220 ათასი ლარი მიიმართება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად: ა) „ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 89900 ლარი. ბ) „ სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 128600 ლარი. გ) „ სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1500 ლარი; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრება 50,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნეს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა საკრებულოს კომისიებმა, ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილზე გამოითქვა რედაქციური ხასიათის შენიშვნები, მთლიანობაში ბიუჯეტი მოწონებულია და კომისიებმა დადეს დადებითი დასკვნები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.**

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ორმა დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა და ირაკლი მარშანიშვილმა.**

**მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

## მიღებულ იქნა დადგენილება N 21 (27.10.2020)

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 60 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან განმარტა, რომ ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან – განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს, რომელიც 2021 წლისთვის დაფინანსების გაზრდის შედეგად განაწილებულია შემდეგნაირად:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 400 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 800 ლარი, II ადგილი – 600 ლარი, III ადგილი – 400 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 800 ლარი, III ადგილი – 600 ლარი.

2. წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 300 ლარი, II ადგილი – 200 ლარი, III ადგილი – 100 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი – 200 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 800 ლარი, III ადგილი – 600 ლარი.

3. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის I-ადგილი 1000 ლარი, II-ადგილი 700 ლარი, III-ადგილი 500 ლარი.

ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს საბიუჯეტო წლის მანძილზე ერთჯერადად გასაცემი თანხით 300 ლარის ოდენობით.

წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 200 ლარი.

მედია-პროექტის ფინანსისტების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) მედია-პროექტის გამარჯვებული I ადგილი - 500 ლარი;

სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლე - 500 ლარი; ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე - 300 ლარი.

ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი.

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

ხელოვნების წარმომადგენლობების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 800 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 1000 ლარი.

შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 400 ლარი; II ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი.

ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 1500 ლარისა.

დასასრულს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას გუნდური და კოორდინებული მუშაობისთვის, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 61 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მისი განმარტებით, წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;



კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა.

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

ფ) 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

მერის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის განმარტებით, ბავშვთა დახმარების პროგრამას დაემატა ორი ახალი პროგრამა, ხოლო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე დაემატა კიდევ ორი ფულადი სოციალური დახმარებების პროგრამა. ესენია:

ქ) ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ყ) კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების, კვლევების ჩასატარებლად და გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. გადაწყვეტილება მიიღება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

შ) კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-თ გარდაცვლილ

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი, ბახილი, ერთჯერადი ხალათი, სადუზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 62 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა**. მან განმარტა, რომ ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისთვის, რომელიც ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: ამირან გიგინეიშვილი (საკრებულოს წევრი) მდივანი: ელიკო იმნაძე (მერიის განყოფილების გამგე) ალექსანდრე მახათაძე (საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე) იოსებ ჩხაიძე (საკრებულოს წევრი) ეკატერინე გუჯაბიძე (მერის მოადგილე) მაია აფხაზავა (მერიის განყოფილების გამგე) თორნიკე ჯიჯიეშვილი (ჟურნალისტი, გაზეთი „პო და არა“) მაია კუპატაძე (საკრებულოს აპარატის თანამშრომელი) მერაბ ჩხაიძე (პარლამენტის ყოფილი წევრი) ქეთი წილოსანი (საზოგადოებრივი აქტივისტი) დარეჯან ბურჭულაძე (საზოგადოებრივი აქტივისტი) ეთერ ჭყონია (ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი) მაკა გოგინაიშვილი (პარლამენტის წევრის ბიუროს უფროსი) პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის, „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით. ამ საკითხებს ეხება არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი თუ სამოქმედო გეგმა. მათ შორის ღია მმართველობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგი 2017-2020, მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020. დოკუმენტი მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოსა და მექანიზმების შექმნას 2020 წლამდე, “რომელიც მიმართული იქნება გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვისკენ, დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და იქნება ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული. PAR-ის ახალ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით, გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა: ა)თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების 5 გაფართოება; ბ)ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და

გაუმჯობესება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის თვალსაზრისით საჭიროებები საზოგადოების ყველა ფენას გააჩნია. სწორედ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობის გასაზრდელად შემუშავდა აქ წარმოდგენილი სტრატეგია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის თვალსაზრისით საჭიროებები საზოგადოების ყველა ფენას გააჩნია. სწორედ ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობის გასაზრდელად შემუშავდა აღნიშნული სტრატეგია, რომლის მიზანია: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში, არასამთავრობო სექტორთან და მასმედიის საშუალებებთან ერთად ერთობლივი პროგრამების განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალებისა და სანდოობის გასაზრდელად, ელექტრონული სერვისების მრავალფეროვნებისა და მიღწევადობის უზრუნველყოფა, სასოფლო დასახლებათა მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის ლობიერება; მერიისა და საკრებულოს შენობების ადაპტირება შესაბამისი პირობებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და საბავშვო ეტლიანი დედების გადაადგილებისთვის, თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირების მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ანგარიშგების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება, საჯარო მოხელეების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებში, მონაწილეობითი სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვა, დასახლების საერთო კრებების ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის ინიციატივით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 63 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში სხდომას შემდეგი სახით წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ:

ანგარიშის ძირითადი კონცეფცია შედგება იმ საკითხებისგან, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს საკრებულოს თითოეულ წევრს, ძირითადი პოსტულატებია მუნიციპალიტეტში მიმდინარე და შესრულებული პროექტები, მიმდინარე წელს პანდემიასთან ბრძოლის კუთხით მუნიციპალიტეტის როლი, საკრებულოს მუშაობაში მოქალაქეთა ჩართულობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ კარგად იცის მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის საქმე. ის, რომ მთავარი არის თითოეული ლანჩხუთელის კეთილდღეობა და ყველაფერს აკეთებს მაქსიმალურად ნაკლები შეჭირვებული იყოს რაიონში.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქცია წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული უფლებამოსილების გატარებაა, მოსახლეობის უმრავლესობის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავარი მიზანია ნაკლებად დაკავდეს კაბინეტში ყოფნით და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელი არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის საკმაოდ მძიმეა, ქვეყანა დღეს ებრძვის პანდემიას, ესაა ვირუსი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ამიტომ ახლა ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ერთიანობა და თანადგომა, რაც ყველას ერთად მისცემს შესაძლებლობას დაამარცხოვონ პანდემია და გაუმკლავდნენ მის შედეგებს. კორონავირუსთან დაკავშირებით მმართველი გუნდის სოლიდარობის ინიციატივას, რომელიც 3 თვის განმავლობაში ხელფასის 1/3-ის კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში გადარიცხვას გულისხმობს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოც შეუერთდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ, მოადგილემ ვლადიმერ ნანაძემ, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრებმა, საკრებულოს კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეებმა, სამი თვის ხელფასის მესამედი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში გადარიცხეს და დღესაც აგრძელებენ წვლილის შეტანას. მუნიციპალიტეტის მერთან ერთად დაეხმარნენ შეჭირვებულ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მარტოხელა მოხუცებს გადასცეს პროდუქტები.

ხოლო, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა, პირადი სახსრებით, ოჯახები, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებდნენ დახმარებას, საკვები პროდუქტებით მოამარაგეს და ისინი ყოველდღიურად ეხმარებიან შეჭირვებულ ოჯახებს, დასაფასებელია საჯარო მოსამსახურეების ასეთი ერთიანობა და ხალხის გვერდით დგომა.

მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა გრძელდება დისტანციური რეჟიმით, საკრებულოს აპარატის ძალისხმევით შემოღებულია გრაფიკი და თითოეული თანამშრომელი მობილიზებულია ნებისმიერ დროს დახმარება აღმოუჩინოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, დისტანციური რეჟიმის პერიოდში კი საკრებულოს საქმიანობას ხელი არ შეშლია და წამებში კეთდება ყველა ის საქმე, რომელიც საკრებულოს გამართული მუშობისთვის საჭიროა. გარდა ამისა, აპარატის უფროსი და განყოფილების უფროსები ყოველდღიურად დადიან სამსახურში. თითოეული თანამშრომლის გულისხმიერება და მათი გააზრებული ქმედება რომ ამ პანდემიის პერიოდში, როგორც საჯარო მოხელე, უნდა იდგეს ხალხის გვერდით დასაფასებელია. საკრებულოს თავმჯდომარე ამაცობს თითოეული მათგანით და მადლობა გამოუცხადა მათ. საკრებულოს თითოეული წევრის მუშაობაში მათი წვლილი უდიდესია.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მზადყოფნას ვირუსთან ბრძოლის საკითხებში. მუნიციპალიტეტში კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით, სადემინგო ექსპერტული ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. დამუშავდა ქალაქის ცენტრალური ქუჩა, ბანკის, საჯარო სკოლის, აფთიაქების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების, კვების ობიექტებისა და ბაზრების მიმდებარე ტერიტორიები. ქუჩები წყლის ჭავლით მოირეცხა. ასევე დემინგო ექსპერტული ჩატარდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებს.

სანამ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე გაამახვილებდა ყურადღებას, მანამდე აღნიშნა საკრებულოში ერთიანი სტანდარტით ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესი. პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებში ერთიანი სტანდარტის მაღალი ხარისხის ელექტრონული სერვისების სისტემების დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ნაკლებ ბიუროკრატიას და მეტ გამჭვირვალებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებს ამ სიახლის დანერგვის შემდეგ ექნებათ წვდომა და პირდაპირი კავშირი ცენტრალური ხელისუფლების ელექტრონულ სისტემებთან.

დღესდღეობით საკრებულოში მოქმედებს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები და

ფრაქციები:

კომისიები

- იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
- ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

ფრაქციები

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
- „ქართული ოცნება - კონსერვატორები“
- „ქართული ოცნება - მრეწველები“
- „ქართული ოცნება - მწვანეები“
- „ლანჩხუთის განვითარებისთვის“

საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო უზრუნველყოფს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას. წარმოგიდგინთ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების თაობაზე და მიღებულ სამართლებრივ აქტებზე სტატისტიკურ მონაცემს.

მიღებულ იქნა:

განკარგულება - 58

დადგენილება - 20

ბრძანება - 117

საკრებულოს ოქმი - 18

საკრებულოს ბიუროს ოქმი - 12

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია, რომ ყველა სხდომის ონლაინ ტრანსლაცია მიმდინარეობს, მოქალაქეს შეუძლია თვალი ადევნოს საკრებულოს სხდომას, ასევე დასვას კითხვა და ონლაინ რეჟიმში გაეცემა პასუხი, გაუზიაროს მისი თხოვნა, პრობლემა, რომელთა განხილვა უშუალოდ სხდომაზე მოხდება დაუყოვნებლივ. აღნიშნული უფრო მეტ შესაძლებლას მისცემს ჩვენს მოსახლეობას ჩაერთოს თვითმმართველი ერთეულის განვითარებაში და თითოეულ საკითხზე დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილია და საკრებულოს ყველა წევრს დარიგებული აქვთ მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი სოციალური პროგრამები, სადაც **სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და**

**ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის** ძალისხმევა და თანადგომა დიდია. ასევე წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები.

საკრებულოს თავმჯდომარე შეეხო მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ხელმისაწვდომ სოციალურ პროგრამებს, რომელზეც სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ძალისხმევა და თანადგომა დიდია.

- მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - ისარგებლა 105 ბენეფიციარი
- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - ისარგებლა 27 ოჯახმა**
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 56 ოჯახი
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 85 ბენეფიციარი
- მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - 44 მოსწავლე
- ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - 24 ბავშვი
- ბიკარბონატული ჰემოდიალევით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 24 ბენეფიციარი
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - 35 ოჯახი
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - 347 ბენეფიციარი
- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 165 ბენეფიციარი
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 66 ბენეფიციარი
- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 9 ბენეფიციარი
- ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის - 30 ქალბატონი
- ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის ) პირთა დახმარების პროგრამა - 3 ბენეფიციარი
- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა - 75 ბენეფიციარი
- შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 14 ბენეფიციარი
- ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა - 4 ბენეფიციარი

მიუხედავად პანდემიისა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის ტარდება სოც-კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თეატრისა და კინოს მუზეუმში, ღია ცის ქვეშ გაიმართა პრემიერა, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“; ევგრაფ შევარდნაძის სტადიონზე ჩატარდა ჩემპიონატი ფეხბურთში „მოყვარულთა თასი-2020“; გაიმართა ევროპის კვირეული მარათონში; სოფელ გვიმბალაურში გაიხსნა ფეხბურთის ფედერაციის აკადემია; დასრულდა კალათბურთის

ჩემპიონატი 3X3; გაიმართა „ეტალონი მოსწავლე“ ღონისძიება; უდიდეს წარმატებას მიაღწია ლანჩხუთის გოგონათა საფეხბურთო გუნდმა, რითაც მთელი საქართველო ამაყობს.

**საფინანსო- საბიუჯეტო კუთხით** კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალურ საკითხებს, ამ კუთხით არაერთი წინადადება და რეკომენდაცია შეუმუშავებია ბიუჯეტში ცვლილებების კუთხით. მისი ძირითადი საქმიანობა ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც უმეტესად განპირობებულია საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ასევე ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. კომისიამ ასევე შეისწავლა ბიუჯეტში თანხების შიდა მონაცვლეობის აუცილებლობის მიზანშეწონილობა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე და ასევე მოქალაქეების ინფორმირებასა და აქტიურ ჩართულობაზე, რათა მუნიციპალიტეტის ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელიც არის ბიუჯეტი ასახოს მოქალაქეების აუცილებელი მოთხოვნები. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში კომისია გეგმავს აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის კუთხით მათი სამსახურებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენას, მათი მხრიდან მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში **ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს**, შესაბამისი საკითხების გადაწყვეტის მხრივ დიდი წვლილი მიუძღვის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

წარმატებით დასრულდა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები. წარმატებით მიმდინარეობს წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოები ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ანალოგიური სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში. დამთავრდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი წყალსადენის მშენებლობა, რომელზედაც ჩაერთო 1000 ახალი აბონენტი. წარმატებით მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული აცანის საბავშვო ბაღის მშენებლობა; დასრულებულია ტენდერი და უახლოეს პერიოდში დაიწყება სუფსის საბავშვო ბაღის მშენებლობა. მიმდინარეობს ქალაქის მე-3 საჯარო სკოლის, ლესის და გულიანის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდა ჩოჩხათის, სუფსის, ღრმაღელის, ზემო ჩიბათის და შუხუთის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს სახურავებისა და სველი წერტილების მოწესრიგებას. ყურადღება ეთმობა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას, რომლებიც პრაქტიკულად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ხორციელდება გაბიონების და ნაპირსამაგრი სამუშაოები, სანიაღვრე არხების, გარე განათებების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ფონდიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა განახორციელა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ü ქალაქ ლანჩხუთში დაიხურა 3 მრავალბინიანი სახლის სახურავები: გორგასლის, კვირკველიას და კუპრეიშვილის ქუჩებზე- 198 796 ლარი.

ü ქალაქ ლანჩხუთში ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ საფეხმავლო ბილიკების მოწყობა - 1549999 ლარი. პროექტი გარდამავალია

ü ნიგოთში ცენტრალურ მაგისტრალზე გარე განათების მოწყობა- 113 498 ლარი.

ü გვიმბალაურში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის მოედნისა და ეზოს განათების სამუშაოები -529 999 ლარი.

ü ლესაში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია - 673 370 ლარი.

ü ღრმაღელე-ომფარეთის გზაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა.1 896 998 ლარი

ü ჩოჩხათის, მამათის, მანხვარეთის, გვიმბალაურის ჩიბათის, ლესის, და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. 1 499 000 ლარი.

ü ქალაქის 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - 1 169 999 ლარი

ü ქალაქ ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩის მდებარედ 2 მინი საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია -136 000 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მოვლენების სალიკვიდაციოდ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები:

ü მანხვარეთის, ჩოჩხათის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში 7 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია 1 948 776 ლარი.

ü ლანჩხუთის; მანხვარეთის; ნიგოთის; ჩიბათის; ნინოშვილის; ჩოჩხათის; სუფსის; ღრმაღელის; აცანის; აკეთის; ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა ბეტონის გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა -1 500 000 ლარი.

ü ნაპირსამაგრი მოეწყო: მანხვარეთისა და ქ. ლანჩხუთის დამაკავშირებელ გზაზე; მანხვარეთში ა.თურქიას სახლთან; გვიმბალაურში ჭყონიების მიმდებარედ ნაპირსამაგრი და გზის რეაბილიტაცია; ნიგვზიანში სოფ. არჩეულში; ქ. ლანჩხუთში სამსონაძე, ანდლულაძის ეზოსთან, დუმბაძისა და ნათლისმცემლის ქ. ქარცავას სახლთან; ჯურუყვეთში ცივი წყლის უბანში ნაპირსამაგრი და არხის გაწმენდა. ჯურუყვეთში მამუკა მურვანიძის ეზოსთან. ბალღეფში დიმიტრი ჩხაიძის ეზოსთან მდინარეზე; ჯურუყვეთში იზო ჩხარტიშვილის ეზოსთან გაბიონის მოწყობა; ჯურუყვეთში სოსო კვაჭაძის ეზოსთან ხიდის დამცავი გაბიონის მოწყობა. სულ 979 995 ლარი.

ტურიზმის განვითარების ფონდიდან გამოიყო :

ü აცანაში ტურისტული ცენტრის მოწყობის სამუშაოები- 24149 ლარი.

ü სოფ. მოედანში ორკარის კანიონის შესასვლელში ფანჩატურების მოწყობა- 8 999ლარი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი. ამ თანხით მუნიციპალიტეტის 55 სოფელში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი: გარე განათება, შიდა გზების მოწესრიგება, მინი სტადიონის კეთილმოწყობა, სოფლის გზისპირა მოსაცდელი, სველი წერტილის მოწყობა,



წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და ა.შ.

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ქალაქის მეორე საჯარო სკოლა - სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და სველი წერტილების მოწესრიგება - 152 123 ლ

სუფსის საჯარო სკოლა - სახურავის რეაბილიტაცია - 110 995 ლ

მუხუთის საჯარო სკოლა - სახურავის რეაბილიტაცია - 99 922 ლ

ჩოჩხათის საჯარო სკოლაში სველი წერტილისა და ღრმადელის სკოლის ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება - ჯამში 74 217 ლარი.

ღრმადელის და ჩიბათის (ზემო ჩიბათის კორპუსი) საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება 93 777

ახალსოფლის და ჯიხანჯირის საჯარო სკოლებში ჭაბურღილის მოწყობა 247 826

მიმდინარე წელს საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად 778 860 ლარი დაიხარჯება.

მან საანგარიშო პერიოდში მიმდინარე მნიშვნელოვან პროექტებზე გაამახვილა ყურადღება:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი დაიწყო. იგი ლანჩხუთის ნებისმიერ მაცხოვრებელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა. მათ მხოლოდ კონკრეტული იდეა უნდა წარედგინათ, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში განხორციელდებოდა. მთავარ თემებად წელს განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა შეირჩა.

იდეების შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ორი ახალი ინიციატივა განხორციელდება: აკეთის თემში კულტურულ-მემკვიდრეობითი სივრცე მოეწყობა, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში კი სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია მოხდება.

- გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციისა და გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის განხილვა მოეწყო.

გეგმის მიხედვით კურორტზე დასასვენებელი, სპორტული მოედნები და ღია სივრცეები მოეწყობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტურისტული ვიზიტების რაოდენობას.

- სოფელ გვიმბალაურში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემია გაიხსნა. გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტია. პროექტის ფარგლებში ადგილზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციული შენობა და უმაღლესი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოეწყობა. ასევე დამონტაჟდა განათების სისტემა. საფეხბურთო აკადემია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით იფუნქციონირებს.

- რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

პროექტის ფარგლებში სოფელ მოედანში (ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული) ორკარის კანიონის შესასვლელში ფანჩატურები, საპიკნივე ადგილები და სავაჭრო დახლი მოეწყო. გარდა ამისა, ვიზიტორებს საშუალება მიეცემა გასაბერი ნაგებობით (ჯომარდობა – რაფტინგი) დაეშვან მდინარე სუფსაზე და დატკბნენ მდინარის ხეობის ულამაზესი სანახებით. პროექტის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების განხორციელება.

პროექტის პრეზენტაცია ორგანიზებული იყო ორგანიზაცია იმერეთის მეცნიერთა კავშირის "სპექტრის" წარმომადგენლებისა და ადგილობრივ ორგანიზაცია - „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ მიერ.

პირველ შეხვედრაზე განიხილეს საჯარო მმართველობის საგზაო რუკის განხორციელების არსებული მდგომარეობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. პრეზენტაცია განხორციელებული მონიტორინგის და საჭიროებების კვლევის შესახებ „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ამირან გიგინეიშვილმა წარმოადგინა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. მასში წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლები.

- ლანჩხუთში ახალგაზრდობის სააგენტოს მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი „პროგრესის გზა“ დაიწყო. პროექტის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა, ასევე მათთვის არაფორმალური განათლების გზით ისეთი ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი პოტენციალის სრულად რეალიზებას. ერთ-ერთი ტრენერი ჩვენი საკრებულოს წევრი, ოტარ პატიეშვილი გახლავთ.

- საერთაშორისო ასოციაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადასცა.

- „საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“ არის ვებ-პლატფორმა, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა.

მისი საშუალებით მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება შეიტყოს საკრებულოში დაგეგმილი ყველა ღონისძიების შესახებ, უშუალოდ დაუკავშირდეს ნებისმიერ საკრებულოს წევრს, აპარატის წარმომადგენლებს, მიწეროს წერილი ან განახორციელოს სატელეფონი კომუნიკაცია მათთან.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სისტემა გამჭვირვალეა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საჯაროა რამდენ წერილს უპასუხა ადრესატმა და აქვს თუა არა ასევე უპასუხო შეტყობინებები.

- ლანჩხუთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მცირე პროექტის ფარგლებში აქტიური მუშაობა განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში. პროექტის – „ჰარმონიული გარემო პატარებისთვის“ მიზანია, საბავშვო ბაღების აღმშრდელებისა და აღსაზრდელთა მშობლების ინფორმირება ძალადობისა და ბუღინგის თემაზე. მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ფაქტების პრევენციაში ძალადობაზე რეაგირების ჯგუფი შექმნის გზით. ასევე პროექტი ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას სკოლამდელ დაწესებულების პერსონალს, მშობლებსა და რეფერალური მექანიზმის სუბიექტებს შორის.

საკრებულოს თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ საკრებულოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერთან, სხვა აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად შეძლებენ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების დაძლევას, მოგვარებას.

დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებს, საკრებულოს აპარატის უფროსს ნინო ძიძიგურს და აპარატის სრულ შემადგენლობას გუნდური და კოორდინებული მუშაობისთვის, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში.**

**დღის წესრიგის მერვე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიაძემ. მან განმარტა, რომ

შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლადის 2020 წლის 19 ოქტომბრის N5/56984 წერილი, რომელიც ეხება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსაში (სკვერი) მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.15.52.679) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლიდან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სუფსის მაჟორიტარი დეპუტატიდან. მათ წერილობით აცნობეს, რომ სკვერი არის მწყობრიდან გამოსული და ფაქტიურად არ ფუნქციონირებს. კერძოდ, მწყობრიდანაა გამოსული ღობე, ამორტიზირებულია შადრევანი და სკვერის საავტომობილო გზასთან სიახლოვე ბავშვებისთვის წარმოადგენს საფრთხეს. მათი აზრით ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება, შემდგომში სსიპ „იუსტიციის სახლის“ ტერიტორიულ ორგანოს, სუფსის საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისათვის სარგებლობაში (უსასყიდლოდ/უვადოდ) გადაცემა უფრო მისაღები იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ვიდრე ამჟამად უფუნქციოდ არსებული სკვერი. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თანხმდება სუფსის ადმინისტრაციის ერთეულში მერის წარმომადგენლისა და სუფსის მაჟორიტარი დეპუტატის მოსაზრებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 64 (25.12.2020)**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ რომ 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში მიმდინარე წლის 17 დეკემბრის N2497 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად შემცირებული იქნა კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 3385 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 170 ლარი, კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში 17908 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 924 ლარი, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია რეაბილიტაცია 15723 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 786 ლარი, შემცირებების ხარჯზე გაიზარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსება 37016 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 1880 ლარი. ამასთან დამატებით გაიზარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსება 83402 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 4110 ლარი, რომლის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს თავისუფალი ნაშთის ხარჯზე, ანუ სულ გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსება გაიზარდა 120418 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 5990 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ამ ცვლილების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება უახლოეს საკრებულოს სხდომაზე, ხოლო ბიუჯეტში დამტკიცების მიზნით მოწვეული უნდა იქნას რიგგარეშე სესია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი. მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N 65 (25.12.2020)**

### **სხვადასხვა საკითხები:**

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** მადლობა გადაუხადა მერიას, საკრებულოს აპარატს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირებისთვის და აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის ფონზე შესანიშნავად იმუშავა მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრმა, კლინიკებმა და თითოეულმა მედპერსონალმა, რაშიც მათ დაეხმარება გაურჩია მუნიციპალიტეტის მერიამ. მან მოსახლეობის სახელით სთხოვა მუნიციპალიტეტის მერს, რომ იქნებ საახალწლოდაც გამოენახათ სახსრები ამ ადამიანების წასახალისებლად. მან იქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნა ლანჩხუთის ცენტრში მოსაცდელის გაკეთების თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი თავდაუზოგადავად მუშაობს, რისთვისაც მიმდინარე წელს ორჯერ უკვე დაერიცხათ დანამატი და საახალწლოდაც იგეგმება მათი წახალისება.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

